საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/3245
13/05/2026

3245-01-2-202605131656

შპს „დიეფელ გრუპს“ (ს/კ: 405605046)

მის: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძეს გამზირი, N 49დ, სართული 2, III ბლოკი,

კომერციული ფართი N9

მის: წალენჯიხის რაიონი, ს. კუხეში, მე–15 ქ., N 11

ელ-ფოსტა: info@delivo.ge

მოგახსენებთ, რომ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში- სააგენტო) შემოსულია მოქალაქე [redacted] განცხადება, რომელიც ეხება შპს „დიეფელ გრუპის“ (ს/ნ: 405605046) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის ფაქტს. როგორც თქვენთვის ცნობილია, სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 22 იანვრის №04/67 ბრძანებით სააგენტოში უკვე მიმდინარეობს საქმის შესწავლა მოვაჭრის - შპს „დიეფელ გრუპის“ (ს/ნ: 405605046) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

განცხადების თანახმად, მომხმარებელმა 2026 წლის 8 თებერვალს Trendyol-ის პლატფორმიდან გამოიწერა ტანსაცმელი და მიწოდების მომსახურებად აირჩია დელივო. ამანათი 10 თებერვალს უკვე მიღებული იყო მოვაჭრის თურქულ მისამართზე. 28 თებერვალს კომპანიამ მომხმარებელს აცნობა, რომ წყვეტდა თანამშრომლობას Trendyolთან და მოსთხოვა 24 საათში ტრანსპორტირების საფასურის გადახდა, რაც მომხმარებელმა დაუყოვნებლივ გადაიხადა. მოგვიანებით დელივომ განაცხადა, რომ ამანათების ჩამოტანას აღარ ახორციელებდა და მომხმარებელი გადაამისამართა კომპანია SHIPZIP-თან, რომელთან დაკავშირებაც ფაქტობრივად შეუძლებელი აღმოჩნდა. მიუხედავად არაერთი მიმართვისა, მომხმარებელს ამანათი არ ჩაბარებია, ხოლო მოვაჭრე პასუხისმგებლობას იხსნის. მომხმარებელი ითხოვს დელივოსგან ამანათის დროულ მიწოდებას.

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge

გაცნობებთ, რომ „საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

შესაბამისად გაცნობებთ, რომ სააგენტომ 2026 წლის 22 იანვრის №04/67 ბრძანებით დაწყებულ საქმის შესწავლაში ჩართო მოქალაქე გიორგი [redacted] განცხადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე, 29-ე, 30-ე, 32-ე მუხლებისა და საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, წერილის ჩაბარებიდან **5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში** მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის თაობაზე.

დანართი: „14“ ფურცელი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/2851
01/05/2026

2851-01-2-202605011742

შპს „დიეფელ გრუპს“ (ს/კ: 405605046)

მის: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძეს გამზირი, N 49დ, სართული 2, III ბლოკი,

კომერციული ფართი N9

მის: წალენჯიხის რაიონი, ს. კუხეში, მე–15 ქ., N 11

ელ-ფოსტა: info@delivo.ge

მოგახსენებთ, რომ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში- სააგენტო) შემოსულია მოქალაქეების [redacted] განცხადება, რომელიც ეხება შპს „დიეფელ გრუპის“ (ს/ნ: 405605046) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის ფაქტს. როგორც თქვენთვის ცნობილია, სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 22 იანვრის №04/67 ბრძანებით სააგენტოში უკვე მიმდინარეობს საქმის შესწავლა მოვაჭრის - შპს „დიეფელ გრუპის“ (ს/ნ: 405605046) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

მოქალაქე [redacted] განცხადების თანახმად, ამანათი თბილისში მდებარე სერვისცენტრში იყო დატოვებული, თუმცა ბათუმში ჩამოსვლისას იგი დაზიანებული მდგომარეობით ჩააბარეს. ფაქტის დაფიქსირებისთანავე ადგილზე მომხმარებელმა დაწერა განცხადება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით 2026 წლის 2 მარტს, რაც სერვისცენტრის მენეჯერის მიერ ხელმოწერით დასტურდება. მომხმარებელს განემარტა, რომ ზიანი აუნაზღაურდებოდა 2 კვირის ვადაში. მიუხედავად ამისა, მომხმარებელს ზიანი არ ანაზღაურებია.

სააგენტოს 2026 წლის 24 მარტის N02/1887 წერილით მოვაჭრეს ეცნობა მოქალაქე [redacted] განცხადების თაობაზე და განესაზღვრა 5 (ხუთი) სამუშაო დღე მასში აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით პოზიციის წარმოსადგენად. სააგენტოს 2026

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge

წლის 24 მარტის N02/1887 წერილი ორჯერ გაეგზავნა სააგენტოსთვის ცნობილ მისამართზე (მის: ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №49დ, მე-2 სართული, III ბლოკი, კომერციული ფართი №9), თუმცა გზავნილი ადრესატს ვერ ჩაბარდა.

გაცნობებთ, რომ „საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

შესაბამისად გაცნობებთ, რომ სააგენტომ 2026 წლის 22 იანვრის №04/67 ბრძანებით დაწყებულ საქმის შესწავლაში ჩართო მოქალაქე [redacted] განცხადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე, 29-ე, 30-ე, 32-ე მუხლებისა და საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, წერილის ჩაბარებიდან **5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში** მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის თაობაზე.

დანართი: „5“ ფურცელი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE